№ 49

კვირა, 6 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 49

კვირა, 6 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ბაბილინა ვახტანგის ასული** და **ალექსანდრე გიორგის ძე ბებურიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა ამა წლის 2 მარტს გარდაცვალებასა პირველის ქმრისა, ხოლო მეორისა მამისას, სტატსკის სოვეტნიკის **გიორგი გურგენის ძის ბებურიშვილისასა** და სთხოვენ მობრძანდნენ დ. ახალსენაკს მიცვალებულის გვამის გამოსასვენებლად 6 მარტს, დილის 9 საათზედ. განსვენებული დაკრძალულ იქმნება შემოქმედში 8 მარტს. (2—2)

ტელეფონი № 92. საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

## ნავთი საუკეთესო თვისებისა

ამ ნავთს მჭვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭოს დარბაზს განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ეს ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

## ამხანაგობისა „სვეტ"

შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **ი. გ. გოჯნიჩის** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა ½ მარკი, როცა ანთია არც სუნი აქვს და არც მჭვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ფუთი ღირს** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქის ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—5)

## ტფილისი, 6 მარტს

—

რაც დღე მიდის, ხალხი სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ სოფლის ცხოვრების წინამძღოლად და მართველად საჭიროა ნასწავლი და გაგებული კაცები. ეს რწმუნება იმ ხარისხამდე გაძლიერებულა ხალხში, რომ ისეც საკმაოდ დაბეჩავებული გლეხი, კიდევ იმატებს, უთუოდ საგრძნობელს მისთვის ხარჯს, ოღონდ-კი სოფლის მეთაურად ეყოლოს „ნასწავლი" და განვითარებული მამასახლისი.

ამ გვარი ამბავი მოხდა ამ დღეებში ტფილისის მაზრის სოფელს მარტყოფში. აქ პირველად 1889 წ. იქნა არჩეული მამასახლისად „ნასწავლი" კაცი, მაგრამ მეორე კენჭის ყრაზედ ხალხმა ისევ უსწავლელ მამასახლისს მისცა უპირატესობა, რადგანაც სამოცის თუმნის გადახდა, რომელსაც აძლევდა „ნასწავლ" მამასახლისს ბერიშვილს, სოფელს ერთობ გაუძნელდა. ხალხი ჩინებულად ჰგრძნობდა, რომ ცუდს საქმეს შვრებოდა, როდესაც სცვლიდა მოხელეობისაგან კაცს, რომელმაც ყოველს სოფლის საქმეს წესისა და გონიერების ფერი და ხასიათი დასდო, მაგრამ სიღარიბემ მაინც თავისი გაიტანა და ათქმევინა სოფელს უარი ნასწავლს მამასახლისზედ. ახლა-კი, როგორც სწერენ „Кавказ"-ში, მარტყოფის გლეხობას ისევ „ნასწავლი" მამასახლისი ამოურჩევია, იგივე ბატონი ბერიშვილი და უკისრნია კიდევ მომეტებულის ჯამაგირის მიცემა, ვიდრე წინად ჰქონდა დანიშნული.

ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენი სოფლის ცხოვრებას ახალმა სიომ დაჰბერა და შეუძლებელ, საკმაოდ დაბეჩავებულ ხალხს უკანასკნელ გროშს აღებინებს ჯიბიდან ოღონდ-კი თავისი საქმე ჩააბაროს გაგებულსა და ერთგულს კაცს.

როგორც გვახსოვს ნასწავლ მამასახლისების კეთილი მნიშვნელობა, ჩვენ იმ თავითვე აღვნიშნეთ და გამოვაცხადეთ, რომ ხალხის ცხოვრების წარმატებისთვის ეს ნაბიჯი მოსაწონია და ჩინებულიოა.

მართალია ჯერ საკმაო საბუთები არა გვაქვს, რომ ჩვენი იმედი უეჭველად და, უთუოდ გამართლდება, მაგრამ ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც აქა-იქ გვესმის ნასწავლ მამასახლისთა მოღვაწეობის შესახებ კმარა იმის სათქმელად, რომ განათლებულნი თავად-აზნაურთაგანი თუ სხვანი სოფლის მოხელენი ღირსეულად დააფასებენ ხალხის ნდობას და უკეთილშობილო ყოფა-ქცევით არ მოსცხებენ ჩირქს იმ წოდებას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

გარდა ამისა, მართლა, რომ ძნელად დასაჯერებელია: კაცს, რომელსაც განათლება მიუღია და გაცნობილია ევროპის მეცნიერთა და ნასწავლთა თხზულებებთან, რომ ასეთმა კაცმა სინიდისი გაჰყიდოს, მოვალეობას უღალატოს და გლეხისაგან შეძლეულ ერთს ან ორს მანეთს დაეხარბოს და უსამართლობა მოიმოქმედოს.

განუსაზღვრელად უანგარო არსება ცასქვეშეთში იქნება, არც ყოფილიყოს და არც იქნეს ოდესმე; ასეთის კაცის ძებნა უქმია. მაგრამ დიდი ბედნიერებაა ისიც, თუ ყოველს ალაგზედ ისეთი კაცები გვეყოლა, რომლის ბოროტად გაძღოლა, რომლის გამორჩენა იმათ ვერ მიიზიდავს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანის სრულს უანგარობაზედ, რასაკვირველია, სახეში მარტო ნივთიერი საგანი არა გვაქვს, არამედ ყოველი ის, რაც-კი კაცისათვის ძვირფასია და სანატრელი.

ამ მაღალის ხარისხის ანგარებას ეწოდება ეგოიზმი,—ეგოიზმა წმინდა და კეთილშობილი, რომლის წყალობით გაკეთებულა მრავალი დიდებული და გასაოცარი საქმე.

ჩვენ, რასაკვირველია, განსხვავებულს ვერასფერს მოვსთხოვთ „ნასწავლ" აზნაურთაგან მამასახლისებს, მაგრამ იმისი იმედი-კი გვაქვს, რომ ხალხს გულს არ გაუტეხენ და პატიოსნისა და მხნე სამსახურით დაუმტკიცებენ თავის ამომრჩევლებს, რომ წოდებრივი უთანხმოება და სიძულვილი ჩვენის ახალის პუბლიცისტების მოჭორებული ამბავია, და საერთო საქმისათვის შრომა და მოღვაწეობა ყოველთვის შესძლებია ქართველს ერს, და ამ გვარივე შეერთებული ერთგული სამსახური კვლავაც შეეძლება.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს II (მარტისა) «ჯეჯილი" შემდეგის შინაარსით: ჩემს შაქროს ლექსი ბარ. ჯორჯაძისა, მშიერამის ოჯახი ეკ. გაბაშვილისა, ასკალი და ია მღვიმელისა, რქიანი თ. რაზიკაშვილისა, კრუზო ლექსი დუტუ მეგრელისა, პატარა თომას თავგადასავალი ფრანგულიდან, მოსწავლეს ლექსი კორტოხასი, ციცუნია შოთ. პ. გოთუასი, გაზაფხული ლექსი წვიასი. უძლიერესი საყვარელი მოყვასისა იაკობ სვიმონიძისა, ვირი და მგელი ხალხური ლექსი, პაწაწკინტელა და უშველებელი ფრინველთა ცხოვრებიდან ილიკოსი და წვრილმანი წერილები.

*** სოფ. რუისი (გორის მაზრა): თებერვლის 20-ს ჩვენს ეკკლესიაში წირვაზე იგალობეს აქაურმა სასოფლო სკოლის შეგირდებმა, მასწავლებელ ვ. ბიბილაშვილის ლოტბარობით; ყველა საგალობლებს, რამდენადაც-კი შეეფერებოდათ პაწია შეგირდებს, კარგად ჰგალობდნენ კარბელაშვილის კილოზე; წირვაზე დამსწრე ხალხი სმენად გადაიქცა; იმათ სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ჩვენს სოფელში ამისთანა გალობა პირველად მოვისმინეთ. იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ბიბილაშვილი უმეტეს ერთგულობას გამოიჩენს და პაწია შეგირდებს კარგად დაგვიხელოვნებს გალობაში.

*** ახალ-სენაკი: მარტის 2 ს, ღამის თორმეტ საათზე გარდაიცვალა აქ ჩვენის მაზრის უფროსი გიორგი გურგენის ძე ბებურიშვილი, რომელიც 30 წელიწადზე მეტია, რაც სხვა-და-სხვა მაზრებს ჰმართავდა.

*** სოფ. მხეფი (სენაკის მაზრა): მთელი ზამთარი ისე გავიდა, რომ ამინდი მეტის-მეტად ჰინჭყლიანობდა, რის გამოც ჩვენს სოფელში გავრცელდა ათასნაირი მოარული. ამას ზედ დაერთო „ინფლუენცაც", რომელიც საგრძნობელ ზარალს იძლევა ყოველგან.

მარტი კარგის დარებით გვესტუმრა. საკმაოდ თბილი ჰაერია და იმედიცა გვაქვს, რომ ავადმყოფობაც დაგვანებებს თავს.

*** ქიზიყი: ნაწილს ფოსტის ფულისას ამ თავითვე დაუწყეს შეკრება და დადგა კიდეც სიღარიბით გაწყალებულის ხალხის ჯვარცმა, უსულღმერთო მოვახშეების ღლობა და სოფლის ტეტია-მოხელეთა ჯიბე-მუცლის ჩარბუზანა.

***

ფიქრო, დამეხსენ, განმშორდი,
ნუ მიხრავ ღონეს და ძალას,
გულს ნუ ცხვავი შავ ნისლად,
გონს ნუ აწვეთებ სამსალას.
ნუ მოსდევ ავსა ნიავქარს,
ნურც ახალს მეტყვი, ნურც ძველსა;

## ფელეტონი

—

### მეგობრის მსხვერპლი

IV

(დასასრული *)

მოახლოვდა მელოს წყალზე წასვლის დროც. წინა დღით ტასოცა და ვანოც მოვიდნენ მელოსთან. მთელი დღე ერთად გაატარეს. მელო სულ იმას სცდილობდა, ვანოსთან მარტო არ დარჩენილიყო, როცა-კი შეხვდებოდა. ეხლაც ძლიერ ერიდებოდა, არა მითხრას-რაო, თუმცა იმის ტანჯვას ისეც ამჩნევდა და ებრალებოდა. მაგრამ სიტყვების მოსმენას მაინც ერიდებოდა სხვა-და-სხვა მიზეზის გამო. ტასო სულ იმას ემუდარებოდა მელოს, რომ დიდხანს არ დარჩენილიყვნენ წყლებზედ. სულ იმას სჩიოდა გულ-დაწყვეტით, რომ ჩემზე მეტად ვანოსა სწყდება გული.

— მელო, შენი ჭირიმე, ჩვენც გებრალებოდეთ, დიდხანს ნუ დარჩები.

მელომ აღარ იცოდა, რა ექნა, ტასოს ამ გვარი გულწრფელობის და გულ-დანდობილის თხოვნის გამო. გულ-აღშფოთებით ნატრულობდა, მალე გაევლო იმ დღეს და დროით წასულიყო იქ, სადაც თვალი და ყური მოშორებული ექნებოდა იმათ, ვისთანაც თავს ისე დამნაშავედ სთვლიდა. ერთს ჰხედავდა დაღონებულს, მეორეს-კი—გულითა და სულით მინდობილ მეგობარს, რომელმაც ნამდვილი გარემოების არა იცოდა-რა.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ტასო და ვანო ძრიელ დაღონებულები გამოემშვიდობნენ მელოს და აღუთქვეს რკინის გზის სადგურამდე გაცილება. როდესაც წასვლის დროს ვანომ ხელზე აკოცა მელოს, ისეთის თვალებით შეჰხედა, რომ მელომ ამოიკითხა: „ნუ ჰფიქრობ, შენის მოშორებით საქმეს უშველოვო".

მეორე დღეს, შუადღისას, რამდენიმე ეტლი, სავსე ხალხით, გამოვიდნენ დათიკოს ალაყაფის კარებიდამ და სადგურისკენ მიეშურებოდნენ. მელო ბევრმა მისმა ნაცნობმა გააცილეს; რასაკვირველია, ტასოც და ვანოც იქ იყვნენ, მაგრამ ვანო სწორედ სამარიდამ ამოღებულს ჰგავდა ამ დილით. მელო ყველას იჭვნეულის თვალით უყურებდა; იმას ეგონა, ყველა იქ მყოფნი ამჩნევდნენ ვანოს იმ მდგომარეობის მიზეზს; იმას ეგონა ყველამ იცის, ჩემის წასვლის მიზეზიცაო. ტასოს ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, აგრეთვე მელოსაც.

— არ გეკადრება, მელო, ესე რომ დაგვაღონე ყველა შენის მოშორებით. დახე, ყველას რა დაღონებული სახე აქვს და ვანოც რა გულდაწყვეტილია.

მოვიდა მატარებელი და ჩვეულებრივ შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი. ამ დროს ვანომ მოასწრო და რამდენიმე სიტყვა უთხრა მელოს.

— ვიცი, მელო, რასაც არიდებ თავს, მაგრამ როდემდის, ჩემო სიცოცხლე, გგონია რომ, როგორც თვალი შორს, ისე გული შორს? არა, შენმა გაზდამ, ვანოს ეგრე მსუბუქი გრძნობა არ დაჰბადებია შენს შესახებ. გულიც შენ მოგდევს და თვალიც.

— კმარა, ვანო, შენმა მზემ, არ გეპატიება და არც გეკადრება ასეთი თავ-დაუჭერლობა, უთხრა მელომ ეს სიტყვები გაჯავრებით და თავ-რეტ-დასხმული შეცარდა ვაგონში.

მელო და ტასო გულ-მხურვალედ გამოეთხოვნენ ერთმანეთს და ცხარე ცრემლით სტიროდნენ.

დაიძრა მატარებელი და დააშორა ერთმანეთს სამი არსება, რომელთა გულიც სხვა-და-სხვა გვარად იტანჯებოდა. მელო, დაშორდა თუ არა თავისიანებს, ვანოს სიბრალული თანდათან უფრო მოემატა. ეს მელოს არაფრად მოსწონდა, რადგან იცოდა, სიბრალული ხშირად სიყვარულს გა-

*) იხ. „ივერია", № 48.

ნუ მასმენ მტრისა სიხარულს,
ნურცა მოყვრისა ნაღველსა!
დაბადებიდგან თან დამდევ,
არ მაძლევ მოსვენებასა:
თუ მღვიძავს, მომშლი, მომქანცავ,
არცა მრთავ ძილის ნებასა...
იქაც თან მომდევ, ტიალო,
ხსოვნას ამიშლი წყეულსა,
სისხლს ამილღვებ, მაბოდებ,
გულს ამიჩქროლებ ეულსა.
მთლად მომიშხამე სიცოცხლე
და განმიმზადე სუდარა,
შენზედ არც წყევლა-კრულვა სჭრის
და არც ლოცვა და მუდარა.
ნეტავ სიკვდილი-კი დამხსნის
შენსა შავ-ბნელსა ქროლასა,
ის-კი მაღირსებს შენს გაყრას,
უშენოდ სათვლავს წოლასა?!.

კენტი

## კორესპონდენცია

**დ. სამტრედია.** შაბათს, 26 თებერვალს აქაურ ქართულ სცენის მოყვარულთაგან, ქ-ნ მარიამ მკურნალის თაოსნობით, სამტრედიის საჯარო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა ავქ. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ამ პიესის წარმოდგენა დაბა-სოფლებში, როგორც ამ მაგალითმა დაგვიმტკიცა, ერთობ სასარგებლოა და ხალხის ყურადღებასაც იმსახურებს. სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ორიოდე მოყვარულთა შესახებ, რომელთაც პირველადვე გამოიჩინეს თამაშობის ნიჭი და უნარი; ისეთი ნიჭი და უნარი, რომელითაც ბუნება აჯილდოვებს მხოლოდ რჩეულთ. ამ პიესაში, როგორც ვიცით, ყველაზედ უფრო საძნელო როლი გიჟუას როლია. ამ როლში გამოვიდა ახალგაზდა კაცი ნესტორ კრივაძე (ნესტორ კალაძე) და, უნდა ვსთქვად, რომ ძნელად თუ ხუთ-ექვსის წლის დახელოვნებული შუათანა ნიჭის არტისტი ითამაშებდა ასე მშვენივრად და სავსებით ამ როლს, როგორც ამ ახალგაზდა კაცმა. ყოველ მის მიხვრა-მოხვრას აღტაცებაში მოჰყავნდა ხალხი და მართლაც ისე კანონიერად იცავდა ყველა ფსიხოლოგიურ კანონს, რომ კაცს ეგონებოდა: ეს მოქმედება ნამდვილია და არა მსახიობურიო. არ შეგვიძლია არ ვურჩიოთ ამ ახალგაზდას, რომ მიიღოს მონაწილეობა იმ სამაგალითო წარმოდგენებში, რომელსაც ყოველ წლიწადს ჰმართავს ტფილისის დრამატიულ საზოგადოება. დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ეს ახალგაზდა კაცი არ უღალატებს ქართულ სცენას, ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას ერთი მაღალ ნიჭიერი არტისტი მოემატება.

კოხტაია იმერელის როლს თამაშობდა თ. აპოლონ მიქელაძე. ეს პატივცემული კაცი პირველად არ იღებს მონაწილეობას ამ გვარ წარმოდგენებში და ისეთი პატივისცემა და ყურადღება დაუმსახურნია საზოგადოების მხრით, რომ ერთის იმის სახელის აფიშაზედ გამოცხადება საკმაო შეიქნა საზოგადოების მისაზიდავად. კარგად შეასრულა აგრეთვე ბ-ნ ნ. მკურნალმა ავეტიქას როლი. წარმოდგენა დივერტისმენტით გათავდა, რომელზედაც წაკითხული იყო მონოლოგი და ლექსები. მთელმა წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და საზოგადოებაც ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. დარჩა წმინდა მოგება ორმოც მანეთამდე, რომელიც უკვე გადაეცა საჯარო ბიბლიოთეკას.

ყარიბი

## მომავალ ექიმთა საყურადღებოდ

(წერილი ქიზიყიდამ)

მოედვა ქიზიყსაც ხალხის დამზიანებელი ინფლუენცია და ამოვიდა მზე მკითხავ-ქადაგებისა: აივსენ „ყოლის სიკეთით“. ადვილად წარმოსადგენია რა ჯანმრთელობის კეთილიც ეყრება მთელ ქიზიყს, სადაც ასი ათასი მცხოვრებელია, და სულ ორი-სამი ექიმია და ისინიც ათასში ერთისათვისაც ძლივს ხელ-მისაწვდომნი, რადგანაც ხსენებული ექიმები ცხენით სიარულს არა ნებულობენ, და მაზრის ქალაქ სიღნაღიდამ თითო მათგანის მიწვევა 10—15 მანათი უჯდება ფაიტონით ავადმყოფის პატრონს. ამას ვინღა იჩივლებდა, ერთმანეთის ენა მაინც რომ ფარსაგად გაეგებოდეთ ექიმს და ავადმყოფის ნათქვამის ნათლად შესაგნებლად, ურომლოდაც ექიმობას ჭეშმარიტი ექიმობა არ ეთქმის.

აი ვრცელი ასპარეზი კაცთ-მოყვარების გამოჩენისა: ჩადგნენ ჩვენი მომავალი ექიმები თავისა და ქვეყნის სიკეთისათვის საქართველოს ყველა კუთხეებში, სადაც ქიზიყელებისავე ტაფაში იწვიან ყველა სოფლელნი წლითი-წლობამდის. მდაბიო ხალხმა უფრო გულ-მხურვალედ იცის თავის საქმით კეთილის მყოფელის დაფასება, „ფუფალსავით“ შენახვა და პატივისცემა. რაც შეეხება იმ ზოგიერთთა მოსაზრებას, რომ ვითომ სოფლის ცხოვრება ინტელიგენტს გონებით აძინებდეს—ძალიან შემცდარი აზრია, რადგანაც ადამიანის ძილიც და ღვიძილიც უფრო თვით ადამიანისავე გონება გულის ძალ-ღონის ძლიერება-უღონობაზეა დამოკიდებული და არა სხვაზე. ქალაქების ინტელიგენციის 99°/₀-ტი მარტო თავის ჯიბე-მუცლის ინტერესებს ემსახურება და განა რა უნდა ვუწოდოთ ამას: გონებითი ღვიძილი, თუ გონებითი სიკვდილი?

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქვეყნად სახელ-განთქმულ ბრძენ-მეცნიერთ და ხელოვანთ მდაბიო ხალხის ცხოვრების ზღვაში ჩადგომით შეუსწავლიათ ყოველივე თვალ-საჩინო საქმენი ქვეყნის ავ-კარგიანობისა. ან კი სხვაგან სად შეუძლიან დასჭრას ხელოსანმა რომელიმე შენობის ასაგებად ყოველ-გვარი საგულის-გულო ხე-ტყე—თუ არა უზარ-მაზარ ჭალაში. და აი სწორედ ჩვენი გადაუგვარებელი მდაბიო სოფლის ხალხიც დღეს ასეთივე უზარ-მაზარი ჭალაა ხელ-უხლებელი მეცნიერება-ხელოვნების მხრივ, საიდამაც შეუძლიან მრავალ-გვარ სიბრძნე-მეცნიერების თუ ხელოვნების ულეველი მასალა ამოკრიფოს გონიერმა ადამიანმა.

ვინ მოგვცემდა, მაგალითად, იმ უკვდავ ქმნილებებს, ალ. ყაზბეგი, რომ მოძმე-მდაბიო ხალხს გვერთ არა სდგომოდა დღე და ღამე მთა-ბარად ცრემლ-სადენ ჭირშიაც და ლხინშიაც? ან რა იქნებოდა თვით იგივე უკვდავი ალ. ყაზბეგი მთელი თავისი სიცოცხლე რომ ქალაქებში დაელამებინა და სოფლად არ ეცხოვრნა?—არაფერი. დიაღ, ჩვენი ნაციონალური მეცნიერება-ხელოვნება მხოლოდ მაშინ აყვავდება. ყოველ-მხრივ, როდესაც ჭეშმარიტი ინტელიგენცია სოფლად მდაბიო ხალხში დაიწყებს ცხოვრებას. ქალაქებში ყველა გადაგვარებული სულიერი თუ უსულო ათასჯერ გადალექილ-გადმოლექილია უანგარიშო მღეჭავებისაგან, და გადაუგვარებელი მამა-პაპათა ზნე-ჩვეულების დამცველი სოფელი-კი ულეველი ზღვა არის გულ-გონების სამოქმედო მასალისა ყველა იმისათვის, ვინც-კი განცისკროვნებულ გონების შორს-გამჭვრეტელის თვალით ჩააშტერდება ხალხის ზნე-ყოფა-ცხოვრების ბინდ-გადაკრულ სიღრმე-სიგანეს შინ თუ გარედ, და ვისაც არა სწადიან, ის თუნდა შიხია-ხევზე დააყენოთ, იმას იქაც გონების გამოუფხიზლებელი ძილი მოიპარავს და ერთ კენჭსაც ვერ დაინახავს ისე, როგორც ვერა ჰხედავს ქალაქის ინტელიგენციის უმრავლესობა თავის გონების მაღალ-დანიშნულების მიცვალებას.

ეხლა მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, სოფლის ამთვალწუნებელნო ბატონებო, სად უფრო დაეძინება ნამდვილ ჭეშმარიტს მუშას: იქ, სადაც აუარებელი სამკალი მომკალს ეძებს დღე და ღამე, თუ იქ, სადაც მომკალი სამკალს ეძებს ღინც გადაგდებული?

X.

## წერილი საინგილოდამ

შემწეობა ემურჯალოელთათვის ალიბეგლოელთამიერ.—სურვილი ქოთოქლოელებისა.—უბედური შემთხვევა.—დალუპვა ალ. ბედიაშვილისა.—გულ-საკლავი სურათი.—ძველი ფულის განადგურება.—მწარე ფიქრები.—აღდგენა დალუპულისა და მაღალი საქრისტეანო საქციელი.—საწყაო ზნე-ჩვეულებათა და კულტურის სიმაღლისა. Христіанскій Старшина.—„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.

ამას წინადა გწერდით, რომ სეტყვისაგან დაზარალებულ ემურჯალოს სოფლის ლეკებს ალიბეგლოს მცხოვრებლებმა შემწეობა აღმოუჩინეს სულადითო. ასრეთივე შემწეობა სურდათ აღმოეჩინათ იმათთვის სოფლის ქოთოქლოს ინგილოებსაც, მაგრამ ვერ აღასრულეს თავიანთი კეთილი სურვილი. ამის მიზეზი შეიქმნა ერთის ქოთოქლელის კაცის უბედურება.

წელს, 21-ს იანვარს, ქოთოქლოში დაეწვა სახლი ალექსანდრე ბედიაშვილს. ზარალი მოუვიდა 500 მანეთამდე. პური, ქერი, ფეტვი, ჩალთუკი და ყოველივე, რაც-კი რამ ებადა გლეხს, კოვზიდგან დაწყებული, სულ ერთიანად ყოველივე გადაეწვა. დაეწვა აგრეთვე 80 მანეთი ფული. არ იციან, ვინ წაუკიდა შუაღამისას სახლს ცეცხლი. ნახევარი უკვე დამწვარი იყო, როცა პატრონს გამოეღვიძა და შეიტყო თავისი უბედურება. ხალხი მაშინვე მივიდა, მაგრამ გვიანღა იყო შველა. ჩალით დახურული სახლი ერთ საათში გადაიბუგა და დანაცრდა.

მესამე დღეს წაველი ქოთოქლოს უბედურისათვის ნუგეშის მისაცემად. სრულიად ჩამწვარი სახლი კიდევ კვამლობდა. უბედური პატრონი ცეცხლ-წაკიდებულ მუგუზალს, თავის სახლისას, მოჯდომოდა და ჩასტიროდა სახლსა და ჩამწვარ ქონებას; ისე შეეპყრო უბედური ავს ფიქრებსა და მწუხარებას, რომ ვერ გაიგო ჩემი მისვლა, ვიდრე სალამი არ მივეცი. აიღო თავი, შემომხედა, კვრივ-კვრივი ცრემლები წამოსქდა თვალებიდამ და წამოიძახა: „მამაო! ჩემმა უბედურებამ თქვენც შეგაწუხათ და სანახავად მოხვედით! ეჰ რაღა ეშველება! უწყალო ცეცხლმა დამაქცია და დამანელა“. საწყალს ისრე უკვნესოდა გული, რომ შემეზარა წუთის სოფლის მუხთლობა, როცა მიმითითა და მითხრა: „ჰხედავ, მამაო! აი აქ იწვის პური (ხორბალი), იქ ქერი, ფეტვი და ჩალტუქი, საზრდო ჩემის ცოლ-შვილისა. ეს ოხერი, მალე მაინც არის გაჰქრეს, რომ გული აღარ მიკვდებოდეს მის ხილვით. მაგრამ რაც ნაღვაწი და ნაჭირნახულევი მე თვითონ მქონდა, იმისი ოხრება და შთანთქვა ცეცხლისაგან, ისე არ მიკლავს გულს, არ მამწარებს და მანაღვლებს, როგორც ის უბედურება, რომ ჩემი მამა-პაპათა სიმდიდრეც ცეცხლმა ამ სახლთან ერთად ინაცვალა. მამა-პაპისაგან დიდძალი ფული გვქონდა დარჩენილი. ის ფული იმათგანვე იყო დამალული. მამაჩემმა არ მითხრა, სად იყო შენახული ის ფული; მის სიკვდილის შემდეგ ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე. თურმე ნუ იტყვით, ეს ხაზინა დიდს ორყურა სპილენძის ქვაბ-ქოთანაში ყოფილა შენახული სხვენზე და, არ ვიცი, ჩალაში ყოფილა დამალული, თუ ტალახით გადალესილ სხვენზე ჰქონიათ ჩაფლული მიწაში. ეს ქვაბ-ქოთანა სახლი რომ იწოდა, ჩამოვარდნილა და ფული ჩაქცეულა ცეცხლში. აი აქ, მიჩვენა ადგილი, დღეს ცეცხლს ვაქრობდი, მიწა ცოტად ამოვჩიჩქნე, და ეს ორყურა ვნახე. ეტყობა, რაც შიგ ფული ყოფილა, როცა ჩამოვარდნილა ორყურა, ცეცხლში ჩაქცეულა, დამწვარა და გაოხრებულა. აი როგორ კარგად ეტყობა ძირზე ხალები, რომლებიც დაუჭდევიათ შიგ ნადებ ფულებსაო“, სთქვა და ღონივრად ამოიოხრა. ესა მკლავს და ანადგურებს ჩემს გულს. ოხერი ბედი! ამას მალოდებდა. ორი-სამი წლიწადია, სულ იმას ვფიქრობდი: მოვხადო ძველებურს მამა-პაპურს სახლს ჩალა და კრამიტით დავხურო-მეთქი; მაგრამ ვერ მოვასწარ, და დახე რა უბედურება შემამთხვია ბედმა. ჩემი ქონებაც წამართვა და მამა-პაპურიცა. არ ვინაღვლო, მაშ რავქნა; მინდა ხმა მაღლა ტირილი, და ესეც ვერ მომიხერხებია“.

ხმა გაკმენდილი დავყურებდი ცხე-

მოიწვევსო და შესაძლოა სწორედ ამ გარემოებამ გაგვაუბედუროს ჩვენცა და ისინიცაო.

V

მიდიოდა დრო და თანდათან ძლიერდებდა ვანოს სიყვარულიც. ვანო ისეთის წინ-დახედულობით იქცეოდა, რომ ძნელად შეამჩნევდი ამ გრძნობას. ცოლთან ჩვეულებრივ ყურადღებით და ალერსიანად იყო, თუმცა უძნელდებოდა, მაგრამ სინიდისი და მოვალეობა ძალას ატანდა. ამ დროს ვანოს ხასიათები რამდენადმე შეიცვალა. სხვათა შორის, განმარტოებით ყოფნა შეუყვარდა, მაგრამ ამნაირს ცვლილებას ტასო აბრალებდა ნერვების ავადმყოფობას თორემ სხვა ვერა წარმოედგინა-რა მის უმანკო გულს.

არც. მელოს გადაჰყარა გულს დარდები წყლებზედ მისვლამ. ეგონა, რა-კი თვალსა და ყურს მოვაშორებ, ნაკლებად ვიგრძნობ ჩემს დანაშაულობასაო, მაგრამ ამ იმედმაც უმტყუნა. ქმარს ისე უჩვენებდა თავს, ვითომც ყველაფერი ამხიარულებდა. მელოს ტასოსი და ნინოს წერილი ხშირად მოსდიოდა. ტასო თავის წერილებში ვანოს უღონობას შესჩიოდა, თან იმას ეხვეწებოდა, დიდხანს არ დარჩენილიყო წყლებზე.

უკანასკნელი წერილი ტასოსი ასე თავდებოდა:

„ვერ წარმოიდგენ, მელოჯან, ვანო რა რიგად დაავადმყოფდა თანდათან სულ გამოიცვალა, სრულებით ვეღარა ვცნობ. ვეხვეწები, ესეც მანდ წამოვიდეს, მით უფრო, რომ თქვენ მანდ მეგულებით. მე აღარ გამოვყვები, რადგან შენი იმედი ისე მაქვს, ვითომც მე ვყოფილვარ. შვილებს აღარ დავანებებ თავს. თუმცა ვანო უარს ამბობს, მაგრამ, აბა, რაღას დავაყენებ, შენც მოსწერე და ურჩიე, შენიჭირიმე, ჩემო მელო“.

შენი ერთგული ტასო.

ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია ჩემს თავსა! ნუ თუ ნუგეშისა და შემსუბუქების მაგიერად, თანდათან უნდა მემატებოდეს დარდები! „ვანო უნდა წამოვიდესო, შენი იმედი მაქვსო. რა კარგი ამბავია-და“! მელო ღრმა ფიქრებს მიეცა. დიდის ხნის ფიქრის შემდეგ თვალებ გაელვარებულმა მსწრაფლად აიღო თავი, ეტყობოდა უეცრივ რაღაც გადასწყვიტა. იმის გაშმაგებულ სახეს ხან სიწითლისა და ხან სიყვითლის ფერი გადაჰკრავდა. ერთის სიტყვით, რა-კი საქმე ესე მოდის, ჩემს ტანჯვას ამ გადაწყვეტილების მეტი არა უშველის რა. მხნეობა დამეკარგა, ნუგეში ვეღარ მიპოვნია, ცბიერებაც მეყო. ტასო ისევ ისე ბედნიერი უნდა იყოს; არაფერი არ უნდა გაიგოს, ეს მის მშვიდობიან ცხოვრებისთვის საჭიროა. ეჭვი არ არის, საბრალო ტასოსა და ვანოსთვის, დიდი თავზარი იქნება, მაგრამ რა გაეწყობა! ჩემს გადაწყვეტილებას ჩვეულებრივი ბოლო მოაქვს, მიწა გრილი, იმედია, ვანოს მხოლოდ ეს შემთხვევა გაუგრილებს გულს, წარსულს დაივიწყებს და მომავალი ანუგეშებს. წინადვე ვსთქვი, რომ ცუდი შედეგი ექნება ამ ამბავს მეთქი. არა უშავსრა, ძლივს ეხლა დავმშვიდდი, მაგრამ დათიკო-კი მებრალება! თუ ჩვენ სამში თვითეულისათვის საჭიროა, ერთის მსხვერპლად გაწირვა დათიკოსთვის რაღა საჭიროა! მაგრამ, ვინ იცის, იქნება იმასაც რა მოელოდა.... ოჰ, ჩემო დათიკო! ჩემო ტასო! ჩემო ნინო! იყავით ყველა ბედნიერი.... შენ-კი, ჩემო ვანო, რაღა გითხრა? ის უნდა გითხრა, რომ შენმა სიყვარულმა გამოიწვია თანაგრძ“.... აქ მელოს თითქო ვანო მოეჩვენა და შეშინდა. სიტყვა ჩაუწყდა, ძალზე აკანკალდა, მაგრამ ღონე მოიკრიბა.

„საბრალო, მელო, რად კანკალებ? რად გაშინებს ეგრე შენი გარდაწყვეტილება? ნუ თუ შენს სულს არ ამაღლებს ის აზრი, რომ ასცდები მეგობრის ღალატს, ასცდები ქმრის ღალატს და შენს პატიოსან აზრს არ უღალატებ? ნუ თრთი, გადასწყვიტე....“.

—

მეორე დღეს მთელ ბ—ში გავარდა ხმა, რომ დათიკო ვარდანაძის ცოლი უეცრივ გარდაიცვალაო.

იულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდამ ჰკვიანად მოლაპარაკე გლეხს, და მერეოდა მწარე ფიქრები იერემია წინასწარმეტყველზე, რომელიც, ჩვენს გლეხსავით, იჯდა იერუსალიმის ნანგრევებზე და დასტიროდა ურიათა სამშობლოს სვე-უბედურებას; გამიტაცეს შავმა ფიქრებმა და მომაგონეს პსამმეტიხის უკუღმართი ბედი, რომლისა გამო, ქოთოქლოელ გლეხსავით, ცრემლი შეჰშრობოდა თვალებში,—და ვერ იტირა, როცა მისს შვილს თავი წაჰკვეთეს ტყვეობაში. ამ ფიქრებით გართული გავშორდი უბედურს, დადარდიანებული. «ღმერთმა ჰკითხოს, მომაძახა საწყალმა, ვინც ასე ულმერთოდ მიმტრო!».

მაგრამ გაუბედურებულს კაცზე ნაკლებად არ შეწუხებულა ხალხიცა. იმავე დღეს, რა დღესაც დაიწვა სახლი მოძმისა, მაშინვე შეიყარნენ ქოთოქლოელი ინგილოები და დიდი გულ-შემატკივრობა აღმოუჩინეს დაზარალებულს ალექსანდრე ბედიაშვილს. მოაგროვეს 40 მანეთი ფულად (კომლზე თითო მანეთი), 45 კოდამდე პური, ქერი, ფეტვი და ჩალთუქი; აგრეთვე ორიოდე ფუთი ლობიო, ხახვი, ნიორი და ყოველივე, რაც აქაურებს სალეველად ხმარებაში აქვთ და ჩააბარეს დაზარალებულს. ეს კიდევ არ იკმარეს. უბედურს მისცეს კიდევ: ქეჩა, ჯეჯიმი, ბალიშები, მუთაქები, კოვზები, ქვაბი, ლანგარი, თეფშები და სხვანი, ნაცვლად დამწვარისა.

ხალხის ამ გვარს გულშემატკივრობას არ უნდა არც ქება, არც განმარტება. საქციელი ხალხისა თვითონ ამბობს, რა ზნე-ჩვეულებისანი, რა მაღალის კულტურისანი არიან აქაურნი ქართველნი ინგილონი. არა ერთხელ გამოუჩენიათ იმათ ამ გვარი თვისება. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად, არც ერთს დაობლებულს ოჯახს არა სტოვებდნენ უნუგეშოდ. ობლებს ჰპატრონობდენ ჯერ ნათესავები და მერე მთელი სოფელი: უხნავდნენ, უთესავდნენ, უმკიდნენ და ულეწავდნენ. მაგრამ 1879 წლიდგან მათი ბედი შეიცვალა. ობლებს დაუყენეს მზრუნველი, რომელსაც ეძახიან „христіанскій старшина“, და მან შესცვალა ძველებური წესი, რის გამო ბევრი ოჯახიც დაიღუპა... მაგრამ მადლობა ღმერთს! წინანდელი მზრუნველი ეხლა გამოსცვალეს და განაწესეს христіанскій старшина-ად იასე ოთარაშვილი. ხალხს იმედი აქვს, ეს ისე არ მოიქცევა, როგორც ძველი ირჯებოდა, და კვლავ აღადგენს ხალხში ძველებურს გულშემატკივრობას, ერთობას, სიყვარულს, გაალვიძებს და გაალვივებს ხალხის გულში ძველებურს სურვილს უბედურობის დროს მოძმეთათვის შემწეობის აღმოჩენისას, როგორიც აღმოუჩინეს ქოთოქლოელებმა თავიანთ დამწვარ-დადაგულ მოძმეს.

მოდით და ამის შემდეგ გული გაიტეხეთ და ნუ იტყვით პოეტის სიტყვებს:

«არ მომკვდარა, მხოლოდ ჰძინავს, და ოდესმე გაიღვიძებს....»

მღვ. დიმ. ჯანაშვილი

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გობლეს წინადადებისამებრ რადიკალთა დასმა პარლამენტში პროექტი წარადგინა, რომ გარდასახადი დაედოს თანხასა და შემოსავალს, ისეთი გარდასახადი, რომელიც თანდათან უნდა ჰმატულობდეს. ინგლისსა, პრუსიასა და გერმანიის სხვა დიდს ქალაქებში შემოღებულია შემოსავლის შესაფერი გარდასახადი, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზია დიდხანს ამისი წინააღმდეგი იყო და ძნელად თუ ამ ხანადაც დასთანხმდეს. პროექტით, თანხიდგან, ქონებიდგან ნასარგებლევს შემოსავალს უფრო მეტი გარდასახადი უნდა დაედოს, ვიდრე შრომით აღებულსა და მოგებულს. ასეთივე გარდასახადი უნდა დაედოს „მკვდარს ქონებას“, როგორც პროექტშია ნათქვამი, ესე იგი ძვირფასს მოწყობილობას სასახლეში, სანადირო ადგილებს, აგარაკებს, რომელთაც არავითარი შემოსავალი არ მოაქვთ. გარდასახადი ერთი %-ით მოემატება, თუ შემოსავალმა 1,000 ფრანკს გადაამეტა და 10%-ით, თუ 10,000 ფრანკს გადასცილდა. ამ გარდასახადის სანაცვლოდ პროექტი ამბობს, რომ შეიძლება შემცირებულ ან გაუქმებულ იქმნას აწინდელი გარდასახადი, რომელიც აწვება(?) და მოძრავს ქონებას ადევს, ფანჯარას, კარებსა და სხვასა.

—

**ინგლისი.** ინგლისის ახალი კაბინეტი უკვე სრულიად შემდგარია. გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა იკისრა ლორდმა კიმბერლეიმ, ინდოეთის საქმეთა მმართველისა—ფოულერმა, ადგილობრივ თვით მმართველობის მინისტრისა — შო-ლეფევრმა, საზოგადო საქმეთა და მუშაობათა მინისტრისა—როასსელმა, საზოგადოებათა პალატის ლიდერისა—გარკორტმა, ირლანდიის საქმეთა მინისტრისა — მორლეიმ, რომელიც წინადაც ამ თანამდებობაზედ იყო, რაც იმედს გვაძლევს, რომ ახალის კაბინეტის პოლიტიკა ირლანდიის შესახებ არ შეიცვლება.

## შვეიცარიელი გლეხი

—

შეიხედეთ, მკითხველო, შვეიცარიის რომელსამე სოფელში და ერთის თვალის გადავლებითაც დარწმუნდებით, რა დიდი განსხვავებაა იქაურს გლეხსა და ჩვენებურს გლეხს შორის.

შვეიცარიელს გლეხს თავი მოსწონს თავისის თავისუფლებით და გამოყენებაც იცის ამ თავისუფლებისა; იგი თავისის თავის ბატონიც არის და მუშაც; მთელი იმისი ოჯახობა იმის ხელ-ქვევით ჰმუშაობს. შრომაშია შვეიცარიელი განთიადიდგან კარგა დაღამებამდე. სწორედ ორფეხა ჭიანჭველები არიან, რომელთაც არ იციან, რა არის მოდალვა და მოქანცვა. რაღა სათქმელია, რომ შვეიცარიის გლეხთა შორის ლოთობა გასაგონადაც ძნელი გასაგონია. დღესასწაულს დღეს რომელიმე სხვისი მუშა-კაცი შევა სასტუმროში ერთის ჭიქის ლუდის დასალევად, მაგრამ ამ ერთს ჭიქასაც მთელს საათს უზის და არ მოსცილდება, ვიდრე გაზეთს არ ჩაიკითხავს თავიდგან ბოლომდე.

პატიოსნება გლეხთა შორის სწორედ სამაგალითო და ძნელად წარმოსადგენია, გზატკეცილზედ ხშირად რძის ჭურჭელს, სამეურნეო იარაღს, ტანისამოსსა სტოვებენ და ისე აწყვია, ხელს არავინ ახლებს, ვიდრე პატრონი არ მოვა და არ წაიღებს. ხეხილები მწიფე ხილით ქუჩაზედ არის გამწკრივებული შეუღობავად და ერთ მსხალს, ერთს ვაშლსაც არავინ წაეტანება პატრონის ჩუმად, პატრონის გაუგებრად. შვეიცარიელმა არ იცის განსხვავება ხალხისა, იქ ყველანი თანასწორნი არიან და ყოველს შეხვედრილს (სულ ერთია, ნაცნობი იქნება, თუ უცნობი) იქაური გლეხი ჩვეულებრივს სალამს მიაგებებს ,,დღე მშვიდობისაო“; მაგრამ თუ პასუხი არ მიეცით, თავს აღარ დაგიკრავთ, მეორედ რომ შეხვდებით.

მუშაობის დროს შვეიცარიელი გლეხი ყოველთვის ჩაიცვამს(?) ხალის შლიაპაშია, ჟილეტი აცვია და პერანგის სახელოები მკლავებამდე აწეული აქვს; ფეხზედ ტყავის ჩექმებს ატარებს, რომელსაც ხშირად ძირი ხისა აქვს. მაგრამ იგივე გლეხი დღესასწაულს დღეს მაუდის ტანისამოსშია გამოწყობილი, თეთრი პერანგი აცვია, ფერადი ყელ-სახვევი ახვევია და შავი შლიაპა ჰხურავს. გუშინდელი ჭუჭყიანი მუშა დღეს მორთულსა და მოპრანჭულს ბატონსა ჰგავს. თავ-მომწონედ მასლაათობს, გაზეთსა ჰკითხულობს, პოლიტიკის შესახებ საუბრობს და თავისის სოფლის საქმეების განსჯა-განხილვაშია, რადგან იქ მთელის სოფლის საქმეს სოფელივე განაგებს საერთოდ.

შვეიცარიის სოფელი ძალიან მხიარულად გამოიხედება: სახლებს აივნები აქვს და ყვავილნარშია ჩადგმული, ქუჩები ლამაზად არის გაწმენდილ-გასუფთავებული, ხშირად ქვითაც არის დაგებული. საუკეთესო შენობანი დათმობილი აქვს სასწავლებელს, საავადმყოფოს, მოწყალებისდათა თავშესაფარს და სხვა საზოგადო დაწესებულებათ. ყოველს სოფელში გამართულია ფოსტა, სადეპეშო სადგური, მაღაზიები და სასტუმრო მგზავრთათვის, სწორედ ისეთიც როგორიც დიდს ქალაქებშია. პოლიცია სულ არა ჰყავთ, მხოლოდ ერთად-ერთი ნაცვალი ჰყავთ, რომელიც თითონაც ჰმუშაობს თავისის ოჯახისათვის და იშვიათად სჭირდება სასოფლო საქმეში ჩარევა, ირგვლივ ისეთი მშვიდობიანობა, სიწყნარე და შრომის-მოყვარეობაა, რომ მთავრობის არსებობაც-კი ავიწყდება ადამიანს.

ადგილობრივნი გლეხნი უფრო რძის წარმოებას მისდევენ. ძროხებს ინახავენ განსაკუთრებით ამ აზრით და რძეს ან ისევ რძედვე ჰყიდიან და ან კარაქად და ყველად გაკეთებულს. ხვნა-თესვას თითქმის სულ არ მისდევენ, რადგან მთა-გორიანი ადგილია. იშვიათად შეხვდებით პაწია ველს, ხორბლით, ნაშვრიით დათესილს, უფრო ხშირად-კი კარტოფილი და ან სხვა ბოსტნეულებანი სთესია. მთანი და ველები საუცხოო საძოვარსა და სათიბს ადგილს წარმოადგენს. სწორედ საუცხოოდ უვლიან ამ საძოვარსა და სათიბს ადგილებს. ძროხა შიგ რომ სდგას, ფეხები აღარ უჩანს. სწორედ სასიამოვნო სანახავია, როდესაც შვეიცარიის სოფელში ძროხის ნახირი სძოვს. იქავე სდგას მწყემსი, პაწია ბიჭი, სალამურს უკრავს და შესცქერის ლამაზად დასუქებულს ძროხებს, რომელთაც სულ ყველას ზარა ჰკიდიათ კისერზედ. ყოველს ზარას სხვა ხმა აქვს და ამიტომ როდესაც ნახირი დაიძვრის ხოლმე, რაღაც გაუგებარი, მაგრამ სასიამოვნო ჭანგი გაისმის ჰაერში.

შუათანა ღირსების ძროხა იქა ღირს ათიდგან ოც თუმნამდე, საუკეთესო ღირსებისა (ჯიშიანი) — ოც-და-ათ თუმნამდე. შვეიცარიელი გლეხი დღეში ორჯელა სწველავს ძროხას, ორთა შუა რიცხვით თითო ძროხა იწველის 10 კოჭობს რძეს, მაგრამ ზოგიერთი 20-საც იწველის, თუმცა იშვიათად-კი. თითოეულს გლეხს ორიდგან ოც-და-ათამდე ძროხა ჰყავს, მაგრამ რამდენიც უნდა ჰყავდეს, მაინც თავისი მეურნეობა აქვს და თავისთვის ირჯება და შრომობს.

კარგად რომ გაიცნობთ შვეიცარიელ გლეხს, შეუძლებელია არ შეგშურდეთ იმისი ცხოვრება, რომელიც, როგორც ჩვენებურად იტყვიან, სწორედ დუღს და გადმოდის. ასეთი ცხოვრება ნაყოფია გონებრივი განვითარებისა კეთილ-დღეობისათვისა და ქვეყნის ღყვავებისათვის(?) საერთო მზრუნველობისა.

## დედათა და ქალიშვილთა კამათი ინგლისში

ინგლისურს ჟურნალ «Nineteenth Century»-ში ამ ჟამად დიდ-ძალი წერილი იბეჭდება დედათა და ქალიშვილთა ერთმანერთის წინააღმდეგ. მთელი ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ჩაითრია ამ კამათმა და აურზაურმა, ყმაწვილი ქალები და იმათი მომხრე გაზეთები თხოულობენ, რომ ახალგაზდა ქალი, ოცის წლისა შესრულდება თუ არა, განთავისუფლებულ იქმნას და თავისუფლად შეეძლოს ისეთის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამორჩევა, რომელიც თითონ მოსწონს. ,,ჩვენნი დედანი სხვა გვარ არიან აღზრდილნი, ისინი მონანი იყვნენ მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებისა, კარ-გამოკეტილში სცხოვრებდნენ, არავის ჰხედავდნენ, არა იცოდნენ-რა. ჩვენ-კი დღის სინათლეზედ ვართ აღზრდილნი და განვითარებულნი, თავისუფლებასა, გონიერს კრიტიკასა, მეცნიერებასა და სხვათა შორის.

დედანი და დედათა მომხრე გაზეთები უპასუხებენ: ,,ჰო, მართალია, თქვენ სულ სხვა გვარადა ხართ აღზრდილნი, უფრო დამოუკიდებლად და თავისუფლად, ცოდნაც დიდი გაქვთ, მაგრამ ყოველივე თქვენი ცოდნა, ყოველი თქვენი აზრი მხოლოდ თეორიაა. ცხოვრება-კი, ნამდვილი, პრაქტიკული ცხოვრება, თქვენ ჯერ გემოდაც არ გაგიგიათ, დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის გამოცდილება გაკლიათ“.

საქმე იქამდე გამწვავებულია, რომ დედებმა რამდენიმე კრებაც-კი გაჰმართეს ამ ატეხილ კამათის შესახებ მოსალაპარაკებლად. ჟურნალ-გაზეთებში ხომ წერილი წერილზედ იბეჭდება ამ საგნის შესახებ. დედებს წაექომაგა ქ-ნი მეი ჯენი, ქალიშვილებს ქ-ნი კრაკენტორტი.

აი რასა სწერს ქ-ნი მეი ჯენი:

,,ყოველი დედა თავისის ქალიშვილების ბედნიერების მსურველია. თუ იგი სცდილობს კარგ, ღირსეულს კაცს მიათხოვოს თავისი შვილი, ამითი მხოლოდ თავისს მოვალეობას ასრულებს. ხომ არავინ გაჰკიცხავს დედას მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად აღზრდი შენს შვილებს, რიგიანად აცმევ და ჰხურავო და სხ. მაშ იმას რაღად უსაყვედურებენ, როდესაც ბედნიერად ჰსურს გაათხოვოს თავისი ქალი? თუ დედა ბედნიერი იყო ცოლ-ქმრობაში, სწორედ ესევე ჰსურს თავისის შვილისათვის და უფლებაცა აქვს გავლენა იქონიოს იმის მომავალს ბედ-იღბალზედ. ამბობენ, რომ დედას გავლენა არ უნდა ჰქონდესო, მერე რა მოჰყვება ამას? მწუხარება ყმაწვილის ქალისა, მწუხარება მისის მშობლისა და ვნება ზიანი საზოგადოებისა, რადგან ყოველი უბედური ქორწინება დიდად მავნებლად ჰმოქმედობს თვით საზოგადოებასა და სახელმწიფოზედ.

,,მართალია, საუკუნო დიდი გავლენა ძნელი ასატანია. დადგება ისეთი წლოვანები, როდესაც ქალიშვილი თითონვე გაიცნობს ცხოვრებას არა წიგნებით, არამედ საკუთარის გამოცდილებით. ეს წლოვანება—25 წელიწადია. თუ ყმაწვილმა ქალმა ამ ხანს მიაღწია და არ გათხოვდა, ან სულ აღარა თხოვდება, ან იმას მისდევს, ვინც იმას შეიყვარებს და შეირთავს. ამ წლოვანებამდე-კი განთავისუფლება ყმაწვილის ქალისა საშიშია და საფრთხილო, რადგან ყმაწვილი ქალი ჯერ არ იცნობს ცხოვრებას, რომ თავი აარიდოს ათას გვარს ცთუნებასა და გატაცებას, რომელიც მაშინვე ჩაავლებს თავისს ბრჭყალებს, გამოვა თუ არა ცხოვრების სარბიელზედ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველს ხანშივე იგი შეჰხვდება მამაკაცს, რომელიც უფრო უკეთ არის შეიარაღებული, ვიდრე იგი. თუ აგრეაო, გვეტყვიან, რომ ქალები ისე აღზარდეთ, როგორც ვაჟებსა ჰზრდით; დეე ცხოვრება ქალებმაც ისე წვლილად და სავსებით შეისწავლონ. კარგი, მაგრამ განა ეს შესაძლებელია? ჩვეულებრივ გათხოვილი ქალები უფრო თავისუფალნი არიან, ვიდრე გაუთხოვარნი; ცხოვრების ისეთი ვითარებანიც იციან, რომლისაც ყმაწვილმა ქალებმა სულ არა უწყიან-რა. მაგრამ იმათ ხელმძღვანელი ჰყავთ—ქმარი, რომელიც წინ უძღვით ცხოვრებაში. ვინ გაუწევს ასეთს ხელმძღვანელობას ყმაწვილს ქალს. ნუ თუ სასურველია, რომ ჩვენი ქალიშვილები თეორიულის ცოდნით მამაკაცებად გადაიქცნენ და შეითვისონ ბევრი რამ, ეხლა იმათთვის უცნობი? რა უპირატესობა ექმნებათ, სრულიად რომ შეიგნონ ცხოვრების სისაძაგლე და სიმდორე? არა, დედას ყოველთვის ექმნება გავლენა თავისს ქალიშვილზე, თვით ბუნებისაგან არის კურთხეული ეს წესი და ბუნებასთან ერთად გაჰქრება და მოისპობა“.

ქ-ნი კრაკენტორტი უპასუხებს:

«ქალებს ვრცელი, მამაკაცური განათლება უნდა ეძლეოდეთ და მისის ცხოვრების საგანი, გათხოვება-კი არა, თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება და შრომა უნდა იყოს. გაასადავეთ ცხოვრება. მაინცა და მაინც ქალიშვილები მშობლების სურვილითა და ნება-რთვით რად უნდა თხოვდებოდნენ. როდესაც ქალიშვილი, ან ვაჟიშვილი მოვიდეს თქვენთან, დედასთან, და გამოგიცხადოთ, რომ მე ცოლის შერთვა, ან გათხოვება მინდაო, კეთილი რჩევა მიეცით, მაგრამ ნუ კი აუხირდებით. როდესაც მამაკაცს ეცოდინება, რომ ყმაწვილმა ქალმა საუცხოოდ იცის ცხოვრებაო, თავს დაანებებს «მხოლოდ კაცებისათვის საკადრისს ცხოვრებას», მივა ყმაწვილ ქალთან და ეტყვის: აი, ამდენი და ამდენი შემოსავალი მაქვს, მომწონხართ, ან მიყვარხართ და გნებავთ თუ არა ჩემი ცოლობაო.—ქა-

ლიც ცნობიერად გათხოვდება, თითონვე იქნება თავისი პასუხის-მგებელი და მარტო ეს გარემოება გააფრთხილებს. ეხლა-კი მშობლების წყალობით საქმე ისეა დაყენებული, რომ ყმაწვილი კაცი ცოლს ვერ შეირთავს, ვიდრე იმდენს შეძლებას არ მოიპოვებს, რომ მისის დედ-მამის სურვილისამებრ შენახვა შეეძლოს, ეს შეძლება კი ძნელი შე'აძენია, ის ცოლს ვერ ირთავს, გარყვნილებას ეძლევა, ჯანს იავადებს და მხოლოდ მაშინ შეიძლებს ხოლმე ცოლის შერთვას, როდესაც სრულიად დაავადმყოფებულია და მხოლოდ სნეული, შესაბრალისი და საცოდავი შვილები-ღა ეძლევაო«.

დიდ-ძალი წერილები იწერება როგორც ერთისა, ისე მეორეს მხრივ. დედები გამწვავებულნი არიან, ქალები დიდის მხურვალებით თხოულობენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ვნახოთ გამარჯვება ვის დარჩება.

## გასართობი

ერთმა სამხედრო წოდების კაცმა თავის ცოლს მაშინ მიასწრო, როდესაც იგი საიდუმლო ბაასში იყო თავის სატრფოსთან. მაშინვე ხმალი იშიშვლა და უნდოდა მოეკლა თავისის პატიოსნების შემლახველი.

— შესდექ! შე'ძახა ცოლმა: შენ გინდა შენის შვილების მამას მოუსპო სიცოცხლე.

**

ერთმა კაცმა დიდი ფული ისესხა მეტად ურიულის სარგებლით ერთის წლის ვადით. ეს სესხება ფულისა სწორედ ნაკიან წლის 29 თებერვალს მოხდა. ფულის მსესხებელმა ბარათში ჩაუწერა:

„მე ამის ქვემორე ხელის-მომწერელმა, სესხად ავიღე ამა-და-ამ კაცისაგან ამდენი და ამდენი, იმ პირობით, რომ მეორე 29 თებერვალს გადავიხადო.“

უგუნური ფულის მიმცემი ვერ მიხვდა, რომ მეორე 29 თებერვალი მხოლოდ სამის წლის შემდეგ დადგებოდა.

* *

ხელმწიფე ლუი მე-XIV-ს მოახსენეს, რომ კარდინალმა მაზარინომ სული ღმერთს ჩააბარაო.

— არა მგონია, რომ ღმერთს იმისი სული მიებარებინოსო, უპასუხა ხელმწიფემ.

## გამოსადეგი ცნობა

კომბოსტოს ფოთოლი. ზაფხულობით სოფლებსა და აგარაკებში, რაკი საყინულეები არა აქვთ, ხშირად ჰხმარობენ კომბოსტოს ფოთოლს ხორცეულობის შესანახად. ძროხის ან ცხვრის ხორცი კარგად უნდა შეახვიოთ კომბოსტოს ფოთოლში და შეინახოთ სარდაფში, ან სხვა გრილს ადგილს. ასე შენახული ხორცი ჩქარა არა ფუჭდება. გარდა ამისა, კომბოსტოს ფოთოლში შეხვეული აგრეთვე კარგად ინახება კარაქი და ერბო. ამ აზრით კომბოსტოს ფოთოლს ძალიან ხშირად ჰხმარობენ ცხელს ქვეყნებში.

# დეპეშა

4 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო ბჭობა იმ ღონისძიებათათვის, რომელიც უნდა მიღებულ იქმნას მეურნეობის მაზარალებელ მწერთა საწინააღმდეგოდ.

ათვალიერებენ საზღვაო-სავაჭრო კანონებს: რა ურთიერთობა, რა უფლება და მოვალეობა უნდა ჰქონდეთ ნავ-გემთა პატრონებს და რა წესით უნდა დაიქირავონ ნავ-გემები საქონლის დასატვირთად.

**ბერლინი.** დიდად მღელვარე კრება იყო, დაიწყო დილის 10 საათზედ, დარბაზი სავსე იყო დეპუტატებით, მოხდა კამათობა გრაფ ბისმარკსა და კანცლერ კაპრივის შორის. შემდეგ ყოველისავე ამისა პარლამენტმა დეპუტატთა ფეხზე წამოდგომით საბოლოოდ შეიწყნარა რუს-გერმანელთა სავაჭრო ხელ-შეკრულობა. ეს მესამე წაკითხვა იყო მისი პარლამენტში ამ დღეს. კაპრივიმ, მინისტრებმა, კავშირის საბჭოს კომისარებმა მილოცვა დაუწყეს ერთმანეთს ამ ამბისა. ხელ-შეკრულობა ძალაში შევა 20 მარტს, დილის 8 საათზედ.

**პარიზი.** ანთროპომეტრიულს განყოფილებაში Madcleine-ს ეკკლესიის ამფეთქებლად სცნეს ანარხისტი პოველსი, რომელიც ამას წინად მოვიდა ბარცელონიდამ. პოველსის ცოლის სახლში იპოვეს მრავალი საბუთები და ქაღალდები. პოველსი და ტყუილი რაბოდი ერთი და იგივე აღმოჩნდა. გადასწყდა, რომ დღეს დილით დაპატიმრებულ იქმნას 13 ანარხისტი. როგორც ამბობენ, პოველსი ამხანაგი იყო ანრისა, როდესაც უნდოდა ამას კაფე ,,ტერმინიუსის“ აფეთქებაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთ საზოგადოების“ ბათუმის შკოლის კომიტეტი გთხოვთ, ამასთანავე წარმოგზავნილი ანგარიში 14—იანვარს 1894 წ. ქ. ბათუმში გამართულს ქართული სალიტერატურო და საცეკვაო „საღამოს„ შემოსავალ-გასავლისა, დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში „ივერიის“ უმახლობელეს ნომერში.

თავდა-პირველად საჭიროდ ვრაცხთ აღვიაროთ მიზეზი ამ ანგარიშის გამოქვეყნების დაგვიანებისა.—პირველი მიზეზი იყო ის, რომ რამდენიმე დღეა მხოლოდ, რაც შეწყდა ფულის გზავნა ფოსტით ჩვენს სახელობაზე იმ პატივცემულ პირთაგან, რომელნიც «საღამოზე» მოპატიჟებულნი ბრძანდებოდნენ, მაგრამ—რომელიმე მიზეზისა გამო, ვერ მობრძანდნენ; მეორეც ისა, რომ ზოგიერთ ამ პირთაგან ფული იგზავნებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის“ სახელობაზე, და მანამ ამ გამგეობასაგან ერთ-ერთ ჩვენთაგანს ჯეროვანი ვექილობა არ მოუვიდა: ისე ფოსტის გამგეობამ ამ ნაირად მიღებული ფული არ მოგვცა.

თვით ანგარიში «საღამოს» შემოსავალ-გასავლისა გახლავსთ შემდეგი:

შემოსავალი:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ბილეთები გამოიცა გასასყიდლად . . . . | 2431—30 |
| აქედამ გაიყიდა . . . . | 959—30 |
| გარდა ამისა შემოვიდა: | |
| თაიგულების და კონფექტების გასყიდვით . . | 222— „ |
| კერძო შემოწირული ფული (25-ს თებერვლამდე მოსული) . . . . | 216—10*) |
| სულ შემოვიდა . . . | 1397—40 |

გასავალი:

| | |
|---|---|
| დერბის მარკებში . . . | 36—65 |
| ტელეგრამების ფოსტის ხარჯი . . . . . | 15—10 |
| კოტილიონისათვის სხვადა-სხვა ნიშნები . . | 24— 3 |
| ტიპოგრაფია, სხვა-დასხვა ფერის სააფიშო ქაღალდები, კარტოჩკები, კონვერტები და სხვ. | 74—5 |
| კონფექტები . . . . | 9—50 |
| მუსიკა და საზანდარი . | 84—85 |
| ელექტრონით განათების ხარჯი . . . . | 46—60 |
| თფილისიდამ და ქუთაისიდამ მოწვეულთ მოთამაშეთა ხარჯი . . . | 135— „ |
| კლუბის ზალის ხარჯი და იქ მოსამსახურეებს . | 55— „ |
| კლუბის მორთვა მცენარეებით, თაიგულები „როჯეის“ მებაღეს და სხ. | 123—60 |
| მცენარეების მოზიდვა ქალაქს გარეთიდამ, მებელების და სხვ. ნივთების გარდატან-გარდმოტანა, ეტლი, მუშები, აისაული და სხვ. წვრილმანი ხარჯი . . | 101—25 |
| სულ ხარჯი . . . | 705—63 |

ნაღდი შემოსავალი დარჩა 691 მან. 77 კაპ., რომელიც გარდაეცა ბათუმის ქართული შკოლის კომიტეტის ხაზინადარს ბ. გრ. ი. ვოლსკის.

აი სია იმ პატივცემულ პირთა, რომელთაც გამოგვიგზავნეს ან პირადათ გარდმოგვცეს ზემო-აღნიშნული ფული 216 მან. 10 კაპ. ბებურიშვილი გ. გ. გრამატინი ა. ა. გურიელისა კნ. ნ. გურიელი თდ. ვ., გოგებაშვილი ი. ს., გამრეკელოვი ა. ს., დადიანი უგანათლებულესი თდ. გრ. ლ., დადიშქელიანი კნ. ან., დადიშქელიანი თდ. თ., დადიშქელიანი თდ. ო., დადიშქელიანი თდ. ქ., დუმბაძე ი. ა., ერისთავი თდ. დ., ერისთავი თდ. ა. მ., ვორონოვი მ. ა., ზარნიკაუ გრაფ. აგრ. ვახტ., ზიკოვი პ. ს., ზდანოვიჩი გ. ფ., ტარსაიძე გ. ა., იონისიანი ა. ი., იოსელიანი გ. ნ., კლიუჩევსკი ი. ე., კვირკელია ვ. ი., კვირკელია დ. ი., კოიანდერი ა. ი., ლორთქიფანიძე თდ. ალ. მ., მამაცაშვილი კ. ხ., მაჩაბელი თდ. ი., მელიქოვი თდ. ი. ზ., მესხისა ნ. ს., მხეიძისა კნ. ა. გ., მხეიძისა კნ. მკ., მხეიძისა კნ. სლ., მხეიძე თდ. დ. გ., მხეიძე თდ. ბ. გ., ნაკაშიძე თდ. მელ. ნიჟარაძე კნ. ეფ. დ.,—პიშკინი პ. ი., ქლენტი ბ. გ., ბ. ულსონი, უმიკოვი პ. ი., ქიქოძე მ. ა., ქიქოძე ტ. ს., ღოღობერიძე ნ. ბ., ყიფიანი ვ. ქ., შერვაშიძე კნეჟნა ელ. შერვაშიძე კნ. ნ. გ., შერვაშიძე თდ. პ. ლ., ჩოლაყაშვილი თდ. ალ. ზ., ცხვედაძე ნ. ზ., ჭიჭინაძე ალ. ბ. და ხუნდაძე ს. თ.

დასასრულ ჩვენ, „საღამოს“ გამგენი კვლავ ვრაცხთ უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ, როგორც ზემოხსენებულ პატივცემულ პირთ, რომელთაც მოგვაწოდეს ფული იმ საქველმოქმედო მიზნის დასახმარებლად, რომლისთვისაც გამართული იყო ხსენებული „საღამო“, და აგრეთვე ყველა შემდეგ პირთ და სხვებსაც, რომელთაც ჩვენ ყოველ გვარი შემწეობა და დახმარება აღმოგვიჩინეს, რომ ეს პირველი ქართული „საღამო“ ბათუმში რიგიანი გამოსულიყო. ეს პირნი ბრძანდებიან შემდეგნი: ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისა, მ. გ. ძნელაძისა, ეფ. ს. მესხი, აკ. რ. წერეთელი, მ. თ. ზუბალოვი, ვ. ალექსეევი-მესხიევი გ. ს. მესხი, დ. ს. მესხი და ბ. ბოლქვაძე:—ელ. ვ. კლიუჩევსკისა, კნ. თ. ნ. ერისთავისა, ი. ე. კლიუჩევსკი, კანონიერკა ,,დონეცის“ კამანდირი ნ. ს. კარალიოვი, ს. ი. ზროდლოვსკი, ალ. მ. სააკოვი, ბ. რელიგიონი და ქქ. ს. ბერძენიშვილი.

«საღამოს» გამგენი: მ. ელიავასა.—(მ. ი. ელიავასა); მ. ბეთანოვი—(მ. ს. ბეთანოვი); ი. ს. მესხი—(ი. ს. მესხი); მ. ი. ღლონ.—(მ. ი. ღლონტის)

თავმჯდომ. კომიტეტ. მ. ს. ბეთანოვი
საქმეთ-მწარმოებელი ივ. ს. მესხი

*) აქვე მოგვყავს სია იმ პატივცემულ პირთა, რომელთაც გამოგვიგზავნეს ანუ გარდმოგვცეს ეს ფული.

### პეტერბურგის ბირჟა, 1 მარტი.

| | მყიდვე-ლის. | გამყიდ-ველის. | გაყიდ-ლის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 151 | 154 | 7,51 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101⅜ |
| 5% . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101⅜ |
| 5%. . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**შვედურს მაღაზიაში**; მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი „**თესლეულობა**“ ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრეთვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის „**ფქვილი და კრუპა**“ დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა „**პრიმუს**“ რომელიც უპეტროლეუმოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ ურველთ უფასოდ. (10—9)

## თესლეულობით ვაჭრობა

ბ. გ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ვ ი დ ე

## ახალი თესლეულობა

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—6)

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

## ს ა პ ო ნ ი

პროვიზორი

## ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ი ს ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი. (20—5)

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, წიგნების გამომცემელთ მაღაზიაში

და სხვებთან

ი ს ყ ი დ ე ბ ა

## ქართული ანბანი

კუბიკებზედ

გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული ფასი ერთი მანეთი ყუთით. (3—2)

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—170)




ტფილისში ა. არისტაკოვის საფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.